21/09/2020

მეუფე შიო მეუფეების საარჩევნო ღონისძიებებზე დასწრებაზე – ეს არ ნიშნავს მხარდაჭერას

ეს არ ნიშნავს მხარდაჭერას,- ასე უპასუხა საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქის მოსაყდრემ, მეუფე შიომ ჟურნალისტების შეკითხვას, მეუფეების მისვლა „ქართული ოცნების" საარჩევნო ღონისძიებაზე რამდენად მიზანშეწონილია და არის თუ არა ეს მმართველი პარტიის მხარდაჭერა.

„ეს არ ნიშნავს მხარდაჭერას. მხარდაჭერა არის სიტყვიერი განცხადება, მხარდაჭერისკენ მოწოდება", – განუცხადა მეუფე შიო მუჯირმა ჟურნალისტებს.

ცნობისთვის, „ქართული ოცნების" საარჩევნო ღონისძიებას რამდენიმე მეუფე დაესწრო.

— ipn.ge